საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/139 " 2 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2020 წლის 30 ოქტომბრის №5 დადგენილებით ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე თეა ლეონიძე არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად, ხოლო - №7 დადგენილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ნიკოლოზ მარსაგიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 51-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „თ. ლეონიძის ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 5 ივნისის №1/178 გადაწყვეტილება;

ბ) „ნ. მარსაგიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის №1/308 გადაწყვეტილება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე